საქმე №3/3845-21

6851013429865

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ

28 ივნისი, 2021 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე თამარ მეშველიანი

მოსარჩელეები - ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ , თენგიზ ჯგუშია, მარინა დგებუაძე

მოპასუხეები - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს მთავრობა

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“, თენგიზ ჯგუშიასა და მარინა დგებუაძის წარმომადგენელმა ნინო გუჯარაიძემ 2021 წლის 23 ივნისს სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მიმართ და მოითხოვა: 1) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 05 აპრილის N2-400 ბრძანება, შპს „კოლხეთი ცემენტის“ ცემენტის წარმოებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ; 2) ბათილად იქნეს ცნობილი - საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება GOV4 21 000 18529, რომლითაც განუხილველი დარჩა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას’, თენგიზ ჯგუშიასა და მარინა დგებუაძის ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 05 აპრილის N2-400 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

წარმოდგენილი სასარჩელო განცხადების განხილვის შედეგად სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-178-ე და 445-ე

მუხლების მოთხოვნებს და შესაბამსიად, მიღებულ უნდა იქნეს წარმოებაში.
სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც, სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „კოლხეთი ცემენტი“ წარმოადგენს მოცემული სამართალურთიერთობის მონაწილეს, შესაბამისად საქმეში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, ჩაბმულ უნდა იქნეს მესამე პირად.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე, 178-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე, 445-ე, 446-ე, 447-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“, თენგიზ ჯგუშიასა და მარინა დგებუაძის სარჩელი მოპასუხეების საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობს მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით მიღებულ იქნეს სასამართლო წარმოებაში;

2. მოპასუხე მხარეებს დაევალოთ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შესაგებლისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების წარმოდგენა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში;

3. №3/3845-21 ადმინისტრაციულ საქმეში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მესამე პირად ჩაებას შპს „კოლხეთი ცემენტი“;

4. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება;

5. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საქმეში მესამე პირის ჩაბმის ნაწილში მხოლოდ მესამე პირად ჩაბმული პირის მიერ მისთვის განჩინების გადაცემიდან 12 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდებარე თბილისი, გრიგოლ რობაქიძის 7ა), თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მდებარე თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კერძო საჩივრის შემოტანის გზით.

მოსამართლე **თამარ მეშველიანი**